



ტექნიკური დავალება
ნავთობშლამების ნარჩენების უტილიზაციასთან დაკავშირებული მომსახურების გაწევის შესახებ

შინაარსი

1. მომსახურების მიზნები.....	2
2. საერთო მონაცემები შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“-ს ნავთობშლამების შესახებ:	2
3. სანებართვო დოკუმენტაცია ნავთობშლამების უტილიზაციის ბაზასთან დაკავშირებით:	2
4. მომსახურების ეტაპები და ვადები:	3
5. მომსახურების გაწევის პირობები	3
6. მომსახურების გაწევის საფასური.....	4
7. მომსახურების მიღების ფორმა	4
8. მომსახურების საფასურის გადახდის ფორმა	4



1. მომსახურების მიზნები

მომსახურების მიზნებია:

- 1.1. ნავთობშლამების ნარჩენების უტილიზაციის კომპლექსური მართვა, რომელიც წარმოადგენს ფუნქციონალურ სისტემას, და რომელიც მოიცავს ნავთობშლამების შეგროვებასა და ინსინერატორში დაწვას.
- 1.2. საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებით დაკისრებული ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფა, და ნავთობით დაბინძურებული ნარჩენების მართვის ეფექტური სისტემის დანერგვა (უტილიზაცია/ნავთობშლამების ინსინერაცია).

2. საერთო მონაცემები შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“-ს ნავთობშლამების შესახებ:

- 2.1. ამჟამად, ბათუმის ნავთობტერმინალის შლამების დროებით საცავებში დაგროვილია დაახლოებით -7,500 მ³ ნავთობის შლამი, ნავთობპროდუქტების შემცველობით - დაახლოებით 2-დან 20 %-მდე, მექანიკური მინარევებით დაახლოებით 45-50-დან 60-70%-მდე, და წყლის შემცველობით - დაახლოებით 30-35%. (მონაცემები ნავთობშლამების შემადგენლობის შესახებ აღებულია სამხარაულის სახელობის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ლაბორატორიის 2011 წლის დასკვნიდან).
- 2.2. უახლოეს 5 წლებში მოსალოდნელია, რომ ნავთობშლამების ახალი მოცულობების წარმოქმნა შეადგენდეს დაახლოებით 200 მ³ /წელიწადში.

3. სანებართვო დოკუმენტაცია ნავთობშლამების უტილიზაციის ბაზასთან დაკავშირებით:

დამკვეთს გააჩნია შემდეგი მოქმედი სანებართვო დოკუმენტაცია:

- 3.1. ბათუმის ნავთობტერმინალის ტერიტორიაზე „ნავთობშლამების უტილიზაციის და ნავთობით დაბინძურებული გრუნტების გაწმენდის „ბაზის“ (შემდგომში - ბაზა) მშენებლობისა და ექსპლუატაციის მუშა პროექტი, რომელიც 2011 წელს შემუშავდა.
- 3.2. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ეკოლოგიური ექსპერტიზის დადებითი დასკვნა N15, გაცემული 2012 წლის 20 მარტს შპს „ბათუმის ნავთობტერმინალის“ ტერიტორიაზე სახიფათო ნარჩენების გადამუშავების და გაუვნებლობის (ნავთობშლამების უტილიზაციის და ნავთობით დაბინძურებული გრუნტის გაწმენდის ბაზის) მშენებლობასა და ექსპლუატაციასთან დაკავშირებით (დანართი N1).
- 3.3. „ბაზის“ მშენებლობისათვის ბათუმის ნავთობტერმინალის კუთვნილი მიწის ნაკვეთის გამოყენებაზე თანხმობის შესახებ ქალაქ ბათუმის მერიის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება Nგ-135, გაცემული 2017 წლის 30 იანვარს (დანართი N2).
- 3.4. ქალაქ ბათუმის მერიის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი 2011 წელს შემუშავებული საპროექტო-სახაჯთადრიცხოვო დოკუმენტაციის შეთანხმების შესახებ - ქ. ბათუმის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის უფროსის ბრძანება N386, გაცემული 2012 წლის 2 აპრილს (დანართი N3).

შენიშვნა: ნავთობის მაღალი შემცველობის მქონე ნავთობშლამების უტილიზაციისათვის გამოყენებული უნდა იქნას ინსინერაციის მეთოდი EU სტანდარტის ინსინერატორზე, რომელიც აღჭურვილია ნამწვი აირების გაწმენდის სათანადო სისტემით.



3.5. კონკურსში გამარჯვებულ პრეტენდენტს, როგორც ნავთობშლამების უტილიზაციის საქმიანობის უშუალო განმახორციელებელს, დაეკისრება ვალდებულებები ნავთობშლამების უტილიზაციის პროცესში ეკოლოგიურ, სამრეწველო, სახანძრო უსაფრთხოებასა და პერსონალის შრომის დაცვასთან დაკავშირებით.

3.6. კონკურსში გამარჯვებულ პრეტენდენტს ნავთობშლამების უტილიზაციის „ბაზის“ მოწყობისათვის საჭირო ტერიტორია გადაეცემა იჯარის წესით. იჯარის ღირებულება განისაზღვრება დამოუკიდებელი აუდიტორული შეფასების საფუძველზე. აუდიტორული დასკვნის ღირებულების ანაზღაურება მოხდება კონკურსში გამარჯვებული საქმიანობის განმახორციელებლის მიერ, მის ანგარიშზე მომსახურების საფასურის პირველი ტრანშის ჩარიცხვიდან გამოქვითვის გზით.

3.7. დამკვეთი უზრუნველყოფს უტილიზაციის „ბაზის“ მიერთებას (დამკვეთის აბონირება კომუნალური მომსახურების მიხედვით) ელექტროენერგიით კვების ძირითად წყაროებთან, წყალმომარაგების და კანალიზაციის სისტემებთან.

3.8. დამკვეთი, ასევე უზრუნველყოფს იჯარით გადაცემული ნავთობშლამების უტილიზაციის „ბაზის“ ტერიტორიის საერთო დაცვას.

3.9. მიწის ნაკვეთის იჯარის ღირებულების, ნავთობშლამების ინსინერატორის ელექტრომომარაგების და წყალმომარაგების უზრუნველყოფის, ჩამდინარე წყლების კანალიზაციის ქსელებთან მიერთების და გაწმენდის, ტერიტორიის დაცვის ღირებულების ანაზღაურება უნდა მოხდეს გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ, შესაბამისი ჩარჩო ხელშეკრულების საფუძველზე.

4. მომსახურების ეტაპები და ვადები:

4.1. **ეტაპი 1** - ნავთობშლამების უტილიზაციის „ბაზის“ ექსპლუატაციაში შეყვანა (ვადა **2018 წლის 1 აგვისტო**).

4.2. **ეტაპი 2** - „ბაზის“ ექსპლუატაცია - დამკვეთის მომსახურება ნავთობშლამების უტილიზაციასთან დაკავშირებით (მომსახურების გაწევის საერთო ვადა - **2025 წლის 31 დეკემბრამდე**).

5. მომსახურების გაწევის პირობები

5.1. ნავთობშლამების უტილიზაციისათვის გამოყენებული უნდა იქნას EU სტანდარტის 200 კგ/სთ წარმადობის ინსინერატორი, რომელიც უნდა განთავსდეს საპროექტო ტერიტორიაზე. (ინსინერატორის განთავსების ტერიტორიის გეგმა-სქემა იხ. დანართი 4).

5.2. „ბაზის“ ექსპლუატაციის პროცესში, შემსრულებელი ვალდებული იქნება:

- უზრუნველყოს წელიწადში არანაკლებ 500 მ³ ნავთობშლამების და დაახლოებით 20 ტონა ნავთობით დაბინძურებული ჩვრების საკუთარი სატრანსპორტო საშუალებებით ტრანსპორტირება და დაწვა ინსინერატორზე.
- დამკვეთთან ერთად აწარმოოს შესრულებული სამუშაოების ყოველდღიური აღრიცხვა.
- უზრუნველყოს „ბაზის“ ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ყველა ხარჯისა და საგადასახადო ვალდებულების დაფარვა.
- „ბაზის“ ექსპლუატაციისას საკუთარ თავზე აიღოს პასუხისმგებლობა და უზრუნველყოს საქართველოს საკანონმდებლო და ნორმატიული მოთხოვნების შესრულება ეკოლოგიის, ხანძარსაწინააღმდეგო, სამრეწველო უსაფრთხოების და შრომისა და ჯანმრთელობის დაცვის სფეროებში.



6. მომსახურების გაწევის საფასური

- 6.1. ნავთობშლამების უტილიზაციასთან დაკავშირებული მომსახურების ღირებულება განისაზღვრება მხარეებს შორის გაფორმებული ჩარჩო ხელშეკრულების საფუძველზე.
- 6.2. შესრულებული სამუშაოების ანაზღაურება მოხდება ყოველთვიურად.
- 6.3. ყოველთვიურად შესრულებული სამუშაოების ღირებულება განისაზღვრება უტილიზირებული ნავთობშლამების რაოდენობის (წონის) გადამრავლებით 1 კგ ნავთობშლამების უტილიზაციისათვის საჭირო ხვედრით ფულად დანახარჯზე.

7. მომსახურების მიღების ფორმა

- 7.1. მონაცემები ყოველდღიურად შესრულებული სამუშაოების შესახებ დაფიქსირდება ინსინირატორის ექსპლუატაციის სავახტო ჟურნალში და უტილიზირებული ნავთობშლამების საადრიცხვო უწყისში. რომელთა საფუძველზეც მოხდება ყოველთვიურად შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტების შედგენა.
- 7.2. ყოველთვიურად შესრულებული სამუშაოების მიღება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე,

8. მომსახურების საფასურის გადახდის ფორმა

- 8.1. გაწეული მომსახურებისა და სამუშაოების საფასურის გადახდა ხოციელდება დამკვეთის მიერ ფულადი სახსრების გადარიცხვის გზით შემსრულებლის ანგარიშსწორების ანგარიშზე, სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტების შედგენიდან, 10 სამუშაო დღის განმავლობაში.